



თიბისი კაპიტალი

რეგიონული ობლიგაციების ბაზრების მიმოხილვა

მაისი 2026

რატი წიკლაური

უფროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრების კვლევა

სარჩევი

ბაზრის
სურათი

03

გლობალური
ბაზრები

04

რეგიონული
ბაზრები

10

ლოკალური
ბაზარი


17

ანექსი


21

ბაზრის სურათი


აშშ-ის შემოსავლიანობის მრუდები




აშშ-ისა და ევროზონის განაკვეთების პროგნოზები



TBCC-ის რეგიონული სუვერენული ინდექსი



TBCC-ის რეგიონული კორპორატიული ინდექსი



გლობალური ბაზრები





ჩაკეტილი ჰორმუზის სრუტიდან გამომდინარე ინფლაციურმა რისკებმა და ფისკალურმა გამოწვევებმა გლობალური ობლიგაციების შემოსავლიანობა გაზარდა, რამაც მათი მასობრივი გაყიდვა გამოიწვია..

ბლუმბერგის გლობალური ობლიგაციების ინდექსები



წყარო: ბლუმბერგი

მაისში გლობალურ ბაზრებზე ვარდნა დაფიქსირდა. ინვესტორები აშშ-ირანის კონფლიქტს არა მხოლოდ გეოპოლიტიკურ რისკად, არამედ პოტენციურ ინფლაციურ შოკად განიხილავენ. თუ დაპირისპირება ნავთობის ფასებს მაღალ ნიშნულზე შეინარჩუნებს ან მიწოდების ჭაჭვებს შეუქმნის საფრთხეს, ბაზარი მზარდ ინფლაციას, განაკვეთების ნაკლებ შემცირებას და მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას დააანონსებს. ეს კომბინაცია ნეგატიურია ობლიგაციებისთვის: ინფლაციის ზრდასთან ერთად ინვესტორები მეტ შემოსავლიანობას ითხოვენ, რაც, უკუპროპორციული კავშირის გამო, ობლიგაციების ინდექსებს ამცირებს.


მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი ფისკალური და სავალდებულო მდგომარეობის გაუარესებაა, განსაკუთრებით აშშ-სა და სხვა მსხვილ განვითარებულ ეკონომიკებში. ინვესტორები სულ უფრო მგრძნობიარენი ხდებიან იმ მოცემულობის მიმართ, რომ მიმდინარე ინფლაციის ფონზე მთავრობებს დიდი მოცულობის ახალი ვალის გამოშვება უწევთ. ეს ზრდის „ვადიანობის პრემიას“, რომელსაც ბაზარი გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების ფლობისთვის ითხოვს. მარტივად რომ ვთქვათ, ინფლაციის, ფისკალური დეფიციტისა და პოლიტიკური გაურკვევლობის გამო, სახელმწიფოებისთვის ფულის გრძელვადიანი სესხება მნიშვნელოვნად გაძვირდა.

ეს ტენდენცია გრაფიკზეც აშკარაა: საწყისი მყარი ზრდის შემდეგ, ყველა წამყვანი საობლიგაციო ინდექსი ბოლო პერიოდში შემცირდა. თუმცა, მიმდინარე დინამიკა უფრო განაკვეთებით გამოწვეულ სელოფს ჰგავს, ვიდრე საკრედიტო კრიზისს, რადგან ძირითადი ზიანი შემოსავლიანობის ზრდამ გამოიწვია და არა საკრედიტო სპრედების მკვეთრმა გაფართოებამ.



აშშ-სა და ევროპის ცენტრალურმა ბანკებმა საპროცენტო განაკვეთები უცვლელად დატოვეს, თუმცა აშშ-ირანის ომით გამოწვეული ინფლაციური შოკი განაკვეთების მომავალი შემცირების მოლოდინებს ამცირებს..

აშშ-ისა და ევროზონის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთების პროგნოზი



წყარო: ბლუმბერგი


აშშ: FED-ი განაკვეთების ხანგრძლივად მაღალ ნიშნულზე შენარჩუნების უფრო კომპლექსურ ფაზაში გადავიდა. აშშ-ირანის კონფლიქტმა ინფლაციური პროგნოზები გააუარესა და უახლოეს პერიოდში განაკვეთების შემცირების შანსები მინიმუმამდე შეამცირა. 29 აპრილის სხდომაზე ბანკმა განაკვეთი 3.50%-3.75%-ის ფარგლებში უცვლელად დატოვა, თუმცა ეს გადაწყვეტილება მძიმე ფონზე იქნა მიღებული: გაძვირებული სანავაზი, განახლებული ინფლაციური ზეწოლა და ბუნდოვანი მომავალი. ჯეი პაუელის ბოლო გზავნილი უფრო ფრთხილი იყო, ვიდრე რბილი, თუმცა მთავარი სიახლე მისი კვეთს უორშით ჩანაცვლებაა, რასაც ბაზარი დიდ პოლიტიკურ გაურკვევლობად მიიჩნევს. უორში დაბალი განაკვეთების მომხრედ ითვლება, თუმცა ის პოსტზე მოდის მაშინ, როდესაც ინფლაციური რისკები მზარდია. მთავარი დაკვირვების საგანია, გაამართლებს უორში ფედის შერბილების იმედებს, თუ ინფლაცია მას მკაცრი კურსის შენარჩუნებას აიძულებს.

ევროზონა: ECB-ის რიტორიკაც ნაკლებად ოპტიმისტური გახდა, რადგან კონფლიქტმა ევროპას აშკარა სტაგფლაციური პრობლემები შეუქმნა: შენელებული ეკონომიკური ზრდა, გაძვირებული ენერგია და ახალი ინფლაციური ტალღა. აპრილის სხდომაზე ECB-მ განაკვეთები უცვლელად დატოვა, თუმცა კრისტინ ლაგარდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ როგორც ინფლაციის ზრდის, ისე ეკონომიკური ვარდნის რისკები საგრძნობლად გაძლიერდა. ეს განსაკუთრებით მტკივნეულია ევროზონისთვის, რომელიც ენერგორესურსების მსხვილი იმპორტიორია – შესაბამისად, ნავთობისა და გაზის გაძვირება პირდაპირ და მყისიერად აისახება რეგიონის ინფლაციურ მოლოდინებზე.



ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ შემოსავლიანობა დროებით შეამცირა, თუმცა მყიფე სამშვიდობო მოლაპარაკებების, ნავთობის მაღალი ფასებისა და ფედ-ის მიერ განაკვეთების დაგვიანებული შემცირების ფონზე, ობლიგაციები კი წნეხის ქვეშ რჩება..

აშშ-ის შემოსავლიანობის მრუდი, მიმდინარე VS 1 თვის წინ




აშშ-ის სახაზინო ობლიგაციების ბაზარზე ამჟამად აშშ-ირანის ომი დომინირებს. რისკებისგან თავის არიდების პერიოდისთვის დამახასიათებელი კლასიკური „უსაფრთხო თავშესაფრის“ ნაცვლად, ბაზარი უფრო ინფლაციური შოკის სცენარით რეაგირებს. ნაცვლად იმისა, რომ შემოსავლიანობა შემცირებულიყო, სახაზინო ობლიგაციების განაკვეთები გაიზარდა, რადგან ინვესტორთა ფოკუსი ნავთობის გაძვირებაზე, ჰორმუზის სრუტის ბლოკირებაზე, მზარდ CPI/PPI მაჩვენებლებსა და ფედ-ის მიერ მკაცრი პოლიტიკის ხანგრძლივად შენარჩუნების რისკებზე გადავიდა.

ეს ზრდა მრუდის ყველა სეგმენტს შეეხო: 10-წლიანი ობლიგაციების შემოსავლიანობა 4.57%-მდე გაიზარდა (თვითნებურად დაახლოებით 24 საბაზისო პუნქტით), ხოლო 2-წლიანი და 30-წლიანი განაკვეთები, შესაბამისად, 4.09% და 5.09%-ის ნიშნულამდე აიწია. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ტრამპმა მოლაპარაკებებში პროგრესზე მიანიშნა და ნავთობი შედარებით გაიფხვრა, შემოსავლიანობამ პიკიდან დაიწია, რადგან ბაზარმა მძიმე ინფლაციური შოკის ალბათობა დროებით შეამცირა. მიუხედავად ამისა, ეს პოზიტივი მყიფეა: პაკისტანის შუამავლობით მიმდინარე დიალოგი, ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული გაურკვევლობა და ჰორმუზის სრუტის ირგვლივ არსებული უთანხმოება ნავთობის ფასებს მაინც მაღალ ნიშნულზე ტოვებს, რაც ინვესტორებს გრძელვადიან პოზიციებზე დაბრუნების საშუალებას არ აძლევს. სახაზინო ობლიგაციების დინამიკას ახლა რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს: ომით გამოწვეული ინფლაციური რისკი, ფედ-ის განაკვეთების გადაფასება, ფისკალური პრობლემები და გრძელვადიან ქაღალდებზე სუსტი მოთხოვნა.



გერმანული სახელმწიფო ობლიგაციები კვლავ წნეხის ქვეშ მოექცა, რადგან მყიფე მოლაპარაკებებმა და ევროპის ცენტრალური ბანკის მკაცრი კურსის მოლოდინმა შემოსავლიანობები მაღალ ნიშნულზე შეინარჩუნა..

გერმანიის შემოსავლიანობის მრუდი, მიმდინარე VS 1 თვის წინ




თვის განმავლობაში გერმანული ობლიგაციები წნეხის პირობებში ივაჭრებოდა, რადგან აშშ-ირანის ომმა ბაზრის ფოკუსი უსაფრთხოებიდან იმპორტირებულ ინფლაციაზე გადაიტანა. ვინაიდან ევროზონა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ენერგორესურსების იმპორტზე, ნავთობისა და გაზის გაძვირებამ გააძლიერა მოლოდინი, რომ ECB მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას უფრო დიდხანს შეინარჩუნებს, ან, შოკის გახანგრძლივების შემთხვევაში, განაკვეთებს კიდევ უფრო გაზრდის.

10-წლიანი ბუნდების შემოსავლიანობა 3.06%-მდე გაიზარდა (თვიურად დაახლოებით 5 საბაზისო პუნქტით), ხოლო 2-წლიანი მოკლევადიანი ობლიგაციების განაკვეთმა 2.65% შეადგინა (~10 ს.პ. მატება). ეს დინამიკა აჩვენებს, რომ საპროცენტო მრუდის მოკლევადიანი სეგმენტი განსაკუთრებით მგრძნობიარეა ცენტრალური ბანკის მოსალოდნელი ნაბიჯების მიმართ. 30-წლიანი განაკვეთიც მაღალ ნიშნულზე – 3.59%-ზე შენარჩუნდა, რაც ზოგადად გრძელვადიან ფასიან ქაღალდებზე არსებულ წნეხზე მიუთითებს. აშშ-ირანის დიალოგში პროგრესის ნიშნებმა და ნავთობის გაიაფებამ ბუნდების შემოსავლიანობა სხვა გლობალურ ობლიგაციებთან ერთად დასწია, რადგან ბაზარმა მასშტაბური ინფლაციური შოკის რისკი დროებით შესუსტებულად მიიჩნია. მიუხედავად ამისა, ეს პოზიტივი მყიფეა – პაკისტანის შეამავლობით მიმდინარე მოლაპარაკებებს მყარი შეთანხმება ჯერ არ მოუტანია, ვინაიდან ირანის ურანის პროგრამასა და ჰორმუზის სრუტის კონტროლზე უთანხმოება კვლავ ძალაშია.




აშშ-ში მკაცრი მონეტარული კურსის შენარჩუნებას ვპროგნოზირებთ, რის გამოც შემოსავლიანობა 2027 წლის დასაწყისამდე მაღალ ნიშნულზე დარჩება. ევროპაში კი ველით, რომ ინფლაციის კლებასთან და პოლიტიკის შერბილებასთან ერთად, განაკვეთები თანდათანობით დაიწევს..

დოლარის სახაზინო შემოსავლიანობების პროგნოზი, %



ევროს სახაზინო შემოსავლიანობების პროგნოზი, %




რეგიონული ბაზრები





გლობალური განაკვეთების ზრდამ და აშშ-ირანის ომის ინფლაციურმა რისკებმა ადგილობრივი ემისიების აქტივობა გადაწონა, რის გამოც TBCC-ის ინდექსის სუვერენული ევროობლიგაციები კვლავ წნეხის ქვეშაა..

თიბისი კაპიტალის რეგიონული სუვერენული ობლიგაციების ბაზრის ინდექსი




გასულ თვეში TBCC-ის ევროობლიგაციების ბაზრის დინამიკა, შიდა აქტივობის ნაცვლად, ძირითადად გლობალურმა საპროცენტო წნეხმა და აშშ-ირანის კონფლიქტიდან მომდინარე ინფლაციურმა რისკებმა განსაზღვრა. ნავთობის გაძვირებამ, ჰორმუზის სრუტის ბლოკირებამ და ფედ-ის/ECB-ის მიერ მონეტარული პოლიტიკის შერბილების გადავადებამ დოლარში დენომინირებული ევროობლიგაციების შემოსავლიანობა გაზარდა, რამაც ფასები — განსაკუთრებით გრძელვადიან ქაღალდებზე — შეამცირა. განვითარებადი ბაზრების ვალის მიმართ განწყობა პირველადი შოკის შემდეგ ოდნავ აღდგა, თუმცა ინვესტორები კვლავ ფრთხილობენ: მიმზიდველი შემოსავლიანობის მიუხედავად, ფასების დინამიკა მაინც მგრძნობიარეა აშშ-ის სახაზინო ობლიგაციების განაკვეთების, ნავთობის ბაზრის სიახლეებისა და სამშვიდობო მოლაპარაკებების მიმართ.

ქვეყნების მიხედვით, მთავარი ყურადღება თურქეთსა და რუმინეთზე გამახვილდა: თურქეთმა ახალი დოლარის ევროობლიგაციების გამოშვებით ბაზარზე წვდომა შეინარჩუნა, თუმცა თვის ბოლოს პოლიტიკურმა მერყეობამ და ინფლაციურმა შიშებმა სუვერენულ ფასიან ქაღალდებსა და CDS-ებზე წნეხი გაზარდა. რუმინეთი: ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის (CEE) რეგიონში ყველაზე ნეგატიურ ქეისად რჩება, სადაც ფისკალური გეგმიდან გადახვევა, პოლიტიკური გაურკვევლობა და გაზრდილი ენერგეტიკული თუ თავდაცვის ხარჯები რეიტინგის შემცირების რისკს აქტუალურს ტოვებს.



ყაზახეთში, უზბეკეთსა და თურქეთში განხორციელებულმა შერჩევითმა ემისიებმა აჩვენა, რომ ძლიერ ემიტენტებზე მოთხოვნა ნარჩუნდება, თუმცა თურქული აქტივების მიმართ რისკ-განწყობა კვლავ მერყეულია..

თიბისი კაპიტალის რეგიონული კორპორატიული ობლიგაციების ბაზრის ინდექსი



წყარო: ბლუმბერგი, თიბისი კაპიტალი

TBCC-ის კორპორატიული ევროობლიგაციების სეგმენტში გასული თვე არაერთგვაროვანი გამოდგა. აშშ-ის სახაზინო ობლიგაციების მზარდმა შემოსავლიანობამ და აშშ-ირანის კონფლიქტმა გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდები წნეხის ქვეშ შეინარჩუნა, თუმცა პირველადი ბაზარი ძლიერი ემიტენტებისთვის ნაწილობრივ მაინც გაიხსნა. მთავარი ისაა, რომ ინვესტორებს განვითარებადი ბაზრების კორპორატიულ ვალზე უარი არ უთქვამთ: აპრილში კაპიტალის ნაკადები მკვეთრად აღდგა, სპრედები კი მდგრადი აღმოჩნდა. შესაბამისად, ობლიგაციების გაიაფება საპროცენტო განაკვეთების არხმა განაპირობა და არა ფართომასშტაბიანმა საკრედიტო პანიკამ.

ყველაზე მნიშვნელოვანი ტრანზაქციები ყაზახეთში, უზბეკეთსა და თურქეთში დაფიქსირდა: ყაზახეთში, მიუხედავად აშშ-ირანის გაურკვევლობისა, ინვესტორთა მოთხოვნა მყარი აღმოჩნდა. Kaspi.kz-მა \$600 მლნ-ის (5.9%, ვადით 2031 წლამდე) ევროობლიგაციები გამოუშვა, ხოლო Bank RBK-მ — \$300 მლნ-ის (7.7%) 5-წლიანი სადებიუტო ქაღალდები განათავსა. უზბეკეთში Aloqabank-მა \$300 მლნ-ის (7.7%) სადებიუტო ევროობლიგაცია გამოუშვა, რაც ქვეყნისთვის 2026 წლის პირველი საერთაშორისო დოლარის ტრანზაქცია იყო. მოთხოვნამ \$1 მლრდ-ს გადააჭარბა, რაც უზბეკურ ფინანსურ სექტორზე მაღალ ინტერესს ადასტურებს. თურქული ბაზარი უფრო მერყევი იყო. Akbank-მა წარმატებით განათავსა \$500 მლნ-ის მდგრადი განვითარების ევროობლიგაცია 7.5%-ში. თუმცა, მოგვიანებით, პოლიტიკურმა დაძაბულობამ, ლირის გაუფასურებამ, CDS-ების ზრდამ და ცენტრალური ბანკის მიერ განაკვეთების შესაძლო მატების მოლოდინმა თურქულ კორპორატიულ და საბანკო რისკებზე წნეხი კვლავ გააძლიერა.


ლოკალური ბაზარი






ვფიქრობთ, რომ მაისის მატების შემდეგ, ირანის ომით გამოწვეული ინფლაციური წნეხის ფონზე, სებ-ი საპროცენტო განაკვეთს კიდევ 25 საბაზისო პუნქტით გაზრდის. ამავდროულად, გაზრდილი სავალუტო შემოდინებებისა და ექსპორტის წყალობით, ლარი სტაბილურობას შეინარჩუნებს..

სებ-ის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის პროგნოზი



დოლარი/ლარისა და ევრო/ლარის გაცვლითი კურსის პროგნოზები






აპრილში საქართველოს სუვერენული სპრედი აშშ-ის სახაზინო ობლიგაციების შემოსავლიანობასთან შედარებით კიდევ დაახლოებით 30 ს.პ.-ით შემცირდა. განვითარებადი ბაზრების (EM) საერთო ფონთან შედარებით, ქვეყნის რისკ-პრემია ამჟამად დაბალია..

საქართველოს სახელმწიფო ევროობლიგაციის სხვაობა აშშ-ის შესაბამისი ვადის სახაზინო ობლიგაციასთან, %




ქართული ევროობლიგაციების სხვაობა საქართველოს სახელმწიფო ევროობლიგაციასთან, %






2026 წლის I კვარტალში ახალმა ემისიებმა ლ160 მლნ შეადგინა, რითაც წინა ორი წლის ანალოგიური კვარტლების მაჩვენებლებს გადააჭარბა. ამასთან, ჭამური კორპორატიული ობლიგაციების ნაშთი ზრდას განაგრძობს..

ახალი საჯარო კორპორატიული ობლიგაციების ემისია, მილიონი ლარი



ლოკალურად გამოსული საჯარო კორპორატიული ობლიგაციების მოცულობა, მილიარდი ლარი



ანექსი: ქართული ობლიგაციები





ქართული სახაზინო და კორპორაციული ევროობლიგაციები

გამომშვები	სექტორი	ვადიანობის ტიპი	ვალუტა	კუპონი	თანხა	ემისიის თარიღი	ვადის მოსვლის თარიღი	მოთხოვნის ფასი	მოთხოვნის შემოსავლიანობა	Moody/S&P /Fitch რეიტინგები
REPUBLIC OF GEORGIA	საჯარო	ვადის ბოლოს	დოლარი	5.125%	500	1/28/2026	1/28/2031	98.684	5.43%	Ba2 / BB / BB
TBC BANK JSC	ბანკები	მუდმივი	დოლარი	10.25%	300	4/30/2024	-	106.31	8.20%*	B2 / - / -
TBC BANK JSC	ბანკები	მუდმივი	დოლარი	8.89%	75	11/4/2021	-	100.66	8.12%*	- / - / B-
BANK OF GEORGIA JSC	ბანკები	მუდმივი	დოლარი	9.50%	300	4/16/2024	-	104.4	8.06%*	B2 / - / B-
GEORGIA GLOBAL UTILITIES	კომუნალურები	დაქოლვადი	დოლარი	8.88%	300	7/25/2024	7/25/2029	106.04	6.95%	- / BB- / BB-
SILK ROAD GROUP HOLDING	ტელეკომი	დაქოლვადი	დოლარი	7.50%	400	9/15/2025	9/15/2030	100.85	7.28%	B1 / - / BB-
GEORGIAN RAILWAY JSC	ტრანსპორტი	დაქოლვადი	დოლარი	4.00%	500	6/17/2021	6/17/2028	94.43	6.44%	- / BB- / BB-



ადგილობრივ ბაზარზე გამოშვებული დოლარის ობლიგაციები

გამომშვები	ინდუსტრია	ვალუტა	კუპონი	თანხა	ემისიის თარიღი	ვადის გასვლის თარიღი
Georgia Capital	კერძო კაპიტალი	დოლარი	8.50 %	150,000,000	03-08-2023	03-08-2028
GRPO	ენერგეტიკა	დოლარი	7.00 %	80,000,000	12-10-2022	12-10-2027
Alma	რეკლამირება	დოლარი	8.50 %	30,000,000	11-07-2025	11-07-2027
TBC Leasing	ფინანსური სერვისები	დოლარი	7.25 %	30,000,000	12-12-2025	12-12-2028
GRE (m2)	უძრავი ქონება	დოლარი	8.50 %	25,000,000	07-08-2024	07-08-2026
IG Development	უძრავი ქონება	დოლარი	7.75 %	25,000,000	12-12-2025	12-12-2027
IG Development	უძრავი ქონება	დოლარი	8.50 %	20,000,000	28-12-2023	28-12-2025
SRE	სტუმარმასპინძლობა	დოლარი	9.00 %	20,000,000	13-04-2023	13-04-2026
SRE	სტუმარმასპინძლობა	დოლარი	9.25 %	20,000,000	14-09-2023	14-09-2026
Basis Bank	ფინანსური სერვისები	დოლარი	7.00 %	20,000,000	07-08-2024	07-08-2027
IG Development	უძრავი ქონება	დოლარი	8.50 %	19,500,000	08-07-2024	08-07-2026
MP Development	უძრავი ქონება	დოლარი	8.50 %	17,700,000	04-04-2025	04-04-2027
TBC Leasing	ფინანსური სერვისები	დოლარი	7.25 %	15,000,000	15-12-2025	15-12-2027
Chavchavadze 64B	უძრავი ქონება	დოლარი	8.75 %	10,000,000	22-08-2024	22-08-2026
Tegeta Motors	ავტოინდუსტრია	დოლარი	8.00 %	10,000,000	08-04-2025	08-04-2027
Tegeta Motors	ავტოინდუსტრია	დოლარი	8.00 %	10,000,000	28-04-2025	28-04-2027
Energy Development Georgia	ენერგეტიკა	დოლარი	8.50 %	10,000,000	23-06-2025	23-07-2027
Gudauri Lodge	სტუმარმასპინძლობა	დოლარი	8.25 %	10,000,000	03-10-2025	03-10-2027
Tegeta Motors	ავტოინდუსტრია	დოლარი	8.50 %	5,000,000	28-06-2024	28-06-2026
Tegeta Motors	ავტოინდუსტრია	დოლარი	8.50 %	5,000,000	19-07-2024	19-07-2026
MP Development	უძრავი ქონება	დოლარი	8.75 %	5,000,000	24-07-2024	24-07-2026
Tegeta Motors	ავტოინდუსტრია	დოლარი	8.25 %	5,000,000	20-12-2024	20-12-2026
Tegeta Motors	ავტოინდუსტრია	დოლარი	8.50 %	3,300,000	28-06-2024	28-06-2026



ადგილობრივ ბაზარზე გამოშვებული ევროს ობლიგაციები

გამომშვები	ინდუსტრია	ვალუტა	კუპონი	თანხა	ემისიის თარიღი	ვადის გასვლის თარიღი
Tegeta Motors	ავტომობილური	ევრო	6.75 %	7,000,000	27-12-2023	27-12-2025
IG Development	უძრავი ქონება	ევრო	7.00 %	5,000,000	16-01-2024	16-01-2026
Tegeta Motors	ავტომობილური	ევრო	6.75 %	10,000,000	02-05-2024	02-05-2026
MP Development	უძრავი ქონება	ევრო	7.75 %	3,000,000	24-07-2024	24-07-2026
Chavchavadze 64B	უძრავი ქონება	ევრო	7.75 %	3,000,000	22-08-2024	22-08-2026
Alma	რეკლამირება	ევრო	7.25 %	8,500,000	11-07-2025	11-07-2027
IG Development	უძრავი ქონება	ევრო	6.50 %	15,000,000	12-12-2025	12-12-2027



ადგილობრივ ბაზარზე გამოშვებული ღარის ობლიგაციები

გამომშვები	ინდუსტრია	ვალუტა	კუპონი	თანხა	ემისიის თარიღი	ვადის გასვლის თარიღი
Rico Express	ფინანსური სერვისები	ლარი	TIBR + 2.0%	130,000,000	17-03-2023	17-03-2026
TBC Leasing	ფინანსური სერვისები	ლარი	TIBR3M + 3.0%	100,000,000	20-03-2023	20-03-2026
TBC Leasing	ფინანსური სერვისები	ლარი	TIBR3M + 2.75%	15,000,000	27-06-2023	27-06-2026
Tegeta Motors	ავტოინდუსტრია	ლარი	13.500 %	10,000,000	03-07-2024	03-07-2026
Tegeta Motors	ავტოინდუსტრია	ლარი	13.500 %	15,000,000	02-08-2024	02-08-2026
Cellfie Mobile	ტელეკომუნიკაციები	ლარი	TIBR 6M + 3.5%	65,000,000	27-12-2023	27-12-2026
MBC	ფინანსური სერვისები	ლარი	TIBR3M + 4.25%	30,000,000	27-12-2024	27-12-2026
MBC	ფინანსური სერვისები	ლარი	TIBR3M + 4.0%	22,030,000	23-04-2025	23-04-2027
MBC	ფინანსური სერვისები	ლარი	TIBR3M + 4.0%	30,000,000	07-10-2025	07-10-2027
Nikora Trade	სამომხმარებლო საქონელი	ლარი	TIBR3M + 3.25%	60,000,000	17-10-2024	17-10-2029
Nikora Trade	სამომხმარებლო საქონელი	ლარი	TIBR3M + 3.5%	60,000,000	30-07-2025	30-07-2030
Georgia Healthcare Group	ჯანდაცვა	ლარი	C. TIBR + 3.75%	350,000,000	17-09-2025	17-09-2030
JSC Nikora	სამომხმარებლო საქონელი	ლარი	TIBR3M + 3.50%	60,000,000	25-09-2025	25-09-2030
Tegeta Motors	ავტოინდუსტრია	ლარი	TIBR6M + 3.0%	260,000,000	16-12-2025	16-12-2030
Nova	მშენებლობა და რემონტი	ლარი	კუპონის გარეშე	50,000,000	17-12-2025	17-12-2030



სამართლებრივი შეტყობინება

წინამდებარე დოკუმენტი („დოკუმენტი“) მომზადებულია და გავრცელებულია შპს „თიბისი კაპიტალის“ („თიბისი კაპიტალი“) მიერ, რომელიც არის TBC Bank Group PLC-ის („ჯგუფი“) წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. დოკუმენტში მოცემული არცერთი დებულება არ განიმარტება როგორც ოფერტი ან მოწვევა ოფერტზე ნებისმიერი აქტივის ან/და ფასიანი ქაღალდის ყიდვასთან ან/და გაყიდვასთან დაკავშირებით და დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს ხელშეკრულების გაფორმებისთვის ან ვალდებულებების აღებისთვის და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რჩევა რაიმე მსგავსი ქმედებების განხორციელებისთვის. რადგან დოკუმენტის გავრცელება შესაძლოა კანონით აკრძალული იყოს გარკვეულ იურისდიქციებში, პირებს, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება დოკუმენტი, თიბისი კაპიტალისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რაც იმოქმედებს მათ მიმართ. ვინაიდან, დოკუმენტი მიმართული ან განზრახული არ არის, პირდაპირ ან ირიბად, გავრცელებისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ, რომლებიც იმყოფებიან ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება იქნებოდა კანონ საწინააღმდეგო ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციაში, არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, და არც მათი რომელიმე დირექტორ(ებ)ი, პარტნიორ(ებ)ი, თანამშრომელ(ებ)ი, დაკავშირებული კომპანიები, მრჩეველ(ებ)ი ან აგენტ(ებ)ი („წარმომადგენლები“) იღებენ ნებისმიერი სახის პირდაპირ ან არაპირდაპირ პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირის წინაშე ნებისმიერ იურისდიქციაში დოკუმენტის გამოქვეყნებასთან, გავრცელებასთან, ფლობასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით. დოკუმენტი არ წარმოადგენს საინვესტიციო, ბიზნეს, საგადასახადო ან/და სამართლებრივ რჩევას და ფინანსურ, საგადასახადო, სამართლებრივ ან/და სხვა სახის შესაბამისობის შეფასებას (due diligence). დოკუმენტის თითოეული მიმღები უნდა აცნობიერებდეს, რომ წინამდებარე კვლევის გამოყენების შემთხვევაში თიბისი კაპიტალი არ არის პასუხისმგებელი კვლევით სარგებლობასთან დაკავშირებულ შედეგებზე და რეკომენდებულია, რომ თითოეულმა მიმღებმა დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატაროს დამოუკიდებელი კვლევა და დეტალური შეფასება. ნებისმიერი გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ დოკუმენტის მიმღების პირადი შეხედულებითა და დისკრეციით. დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ან ყველა მონაცემი ან/და ინფორმაცია წარმოადგენს მესამე მხარის წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას და თიბისი კაპიტალი არ იღებს რაიმე სახის პირდაპირ ან არაპირდაპირ პასუხისმგებლობას მათ სისრულესთან, სისწორესთან და სიზუსტესთან დაკავშირებით. წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ფინანსური მონაცემი, პროგნოზი თუ მოდელი ეფუძნება მესამე პირების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. თიბისი კაპიტალი არ იძლევა რაიმე სახის პირდაპირ ან ნაგულისხმევ გარანტიას მათ სიზუსტეზე, სისრულესა და გონივრულობაზე. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია არ უნდა იქნეს მიჩნეული საბოლოო ანალიზად ან რაიმე გადაწყვეტილების მიღების საფუძველად. ამასთან, აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს თიბისი კაპიტალისგან დამოუკიდებლად და მისი გაფრთხილების გარეშე და არც თიბისი კაპიტალს, არც ჯგუფის რომელიმე წევრს და არც მათ რომელიმე წარმომადგენელს ეკისრებათ რაიმე სახის ვალდებულება, განაახლონ ან შეინარჩუნონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია. დოკუმენტის გავრცელება, არც ერთ შემთხვევაში გულისხმობს რომ მასში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი, სწორი ან/და სრული მისი მომზადების თარიღის შემდგომ ან არ მომხდარა ცვლილება შესაბამისი კომპანიების ან ნებისმიერი სხვა პირის ბიზნესში, ფინანსურ მდგომარეობაში, მოლოდინებში, საკრედიტო სანდოობაში, სტატუსში ან საქმიან ურთიერთობებში ზემოხსენებული თარიღის შემდგომ. შესაბამისად, დოკუმენტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების ან/და კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასშია აღწერილი და არ უნდა მოხდეს მათზე დაყრდნობა. თიბისი კაპიტალი არ იღებს ვალდებულებას განაახლოს დოკუმენტი ან გამოასწოროს მასში არსებული ნებისმიერი უზუსტობა, რაც შესაძლოა გახდეს აშკარა. დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებულ განაცხადებს საოპერაციო შედეგებთან და სხვა მაჩვენებლებთან მიმართებაში. ნებისმიერი სამომავლო შეხედულებასთან დაკავშირებული განაცხადი მოიცავს ნაცნობ და უცნობ რისკებს, მერყეობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც თიბისი კაპიტალის კონტროლის მიღმაა და რომელთაც შესაძლოა ისე შეცვალონ ფაქტიური შედეგები, ეფექტურობა ან მიღწევები რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამომავლო შედეგებისგან, ეფექტურობისგან ან მიღწევებისაგან, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს ასეთ სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადებიდან. ასეთ სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები ეფუძნება მრავალ დაშვებას არსებულ და სამომავლო ბიზნეს სტრატეგიებთან და სამომავლო საოპერაციო გარემოსთან დაკავშირებით. თავისი ხასიათით, სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები მოიცავს რისკებსა და მერყეობას რადგან ისინი უკავშირდება ისეთ მოვლენებს და დამოკიდებულებას ისეთ გარემოებებზე რომელთა სამომავლო არსებობა სათუთაა. გარანტია ვერ გაიცემა, რომ დოკუმენტში არსებული სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები აღსრულდება. თიბისი კაპიტალი მიზნად არ ისახავს მსგავსი განაცხადები მომავალში განაახლოს. მოსაზრებები, პროგნოზები, შეფასებები ან/და განცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია სამომავლო მოვლენების მოლოდინებთან ან ინვესტიციების შესაძლო შესრულებასთან, წარმოადგენს თიბისი კაპიტალის საკუთარ შეფასებას და მისთვის ამჟამად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ინტერპრეტაციას. მესამე მხარის წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ ინფორმაციის სისწორის ან/და სისრულის გარანტია. თიბისი კაპიტალს ან ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას იმ კომპანიებთან, რომლებიც განხილულია დოკუმენტში. შესაბამისად, შესაძლოა არსებობდეს ინტერესთა პოტენციური კონფლიქტი, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე, თუმცა არსებული საუკეთესო სტანდარტების დაცვით, თიბისი კაპიტალს ჩამოყალიბებული აქვს სათანადო პრაქტიკა და პროცედურები, რომლებიც ეფექტურად უზრუნველყოფენ მომსახურების შესრულების დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას. მოცემული დოკუმენტი არის მკაცრად კონფიდენციალური. დაუშვებელია დოკუმენტის რეპროდუქცია, განმეორებით გავრცელება ან გამოქვეყნება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი მიზნით, თიბისი კაპიტალის წერილობითი ნებართვის გარეშე. არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი და არც მათი რომელიმე წარმომადგენელი ამ მხრივ არ იღებენ რაიმე სახის პასუხისმგებლობას მესამე პირის ქმედებებთან დაკავშირებით. თიბისი კაპიტალი არ გასცემს რაიმე სახის რწმუნებას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში და ცალსახად უარყოფს სავაჭრო მდგომარეობის ან შესაბამისობის ყველანაირ პირობას, რაც დოკუმენტში განხილულია კონკრეტული მიზნისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი მონაცემის მიმართ. ზემოაღნიშნულის შეზღუდვის გარეშე და კანონის შესაბამისად, თიბისი კაპიტალი, ჯგუფის ნებისმიერი წევრი, და მათი ნებისმიერი წარმომადგენელი პასუხისმგებლობას არ იღებენ რომელიმე ვალდებულებიდან გამომდინარე რაიმე სახის ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად, წარმოიქმნას დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე სახით გამოყენების შედეგად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ინფორმაციის სიზუსტესთან ან/და სისრულესთან დაკავშირებით), ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს რომელიმე მხარის მიერ დოკუმენტის საფუძველზე რაიმე ქმედების განხორციელებას ან/და უმოქმედობას.



თიბისი კაპიტალი

www.tbccapital.ge